საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

XXXVII
სამეცნიერო სესია

1981 წლის 15-16-17 დეკემბერს

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები

თბილისი
1981

ბ. ჯორბენაძე

სტატიკური ზმნების აწმყო ქართული ენის დიალექტებში

1. ქართული სტატიკური ზმნების რამდენიმე ქვეტიპი გამოიყოფა. სტატიკური ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მორფოლოგიური ყალიბითა და უღვლილების პრინციპით.

2. ს-წერ-ი-ა ტიპი თავისებურად იწარმოება ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში: ს-წერ-ავ.

3. ყველაზე მეტი ნაირსახეობა მოეპოვება დგ-ა-ს ტიპის ფორმებს: დგ-ან-ა, დგ-ენ-ა, დგ-ი-ლარია...

4. დასავლეთ საქართველოს დიალექტებში ჩივ-ი-ს ფუნქციონირებს როგორც ჩივ-ა (<– *ჩივ-ან-ს, შდრ.: მ-ჩივ-ან-ი).

5. დიალექტების ერთ ნაწილში (გურულში, ქვემოიმერულში...) აწმყოს მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირი გამოხატულია -არიან // -არიენ მეშველი ზმნის საშუალებით (დგალ-არიან...). ფუძისეული ელემენტისა და მეშველი ზმნის შერწყმით ვღებულობთ -ლარიენ ელემენტს, რომელიც ფორმანტის სტატუსით ფუნქციონირებს (უნდებ-ლარიან...). ანალოგიით ამგვარი წარმოება თავს იჩენს მხოლობით რიცხვშიც: დგ-ი-ლარიან –> დგ-ი-ლარია ის...

6. თავისებურია მიცემითბრუნვიანი სახელის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის საშუალებანი ქართული ენის დიალექტებში. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა დიალექტთა სამი წრე: მიცემითბრუნვიანი სახელის მრავლობითობა არ აღინიშნება (ძველი ქართულისებური ვითარებაა), მრავლობითობა აღინიშნება -ი სუფიქსით (ისევე, როგორც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში), მრავლობითობა აღინიშნება -ენ ფორმანტით (ქვემოიმერული, გურული...): მათ აქვ-ს // აქვ-თ // აქვ-ენ ის...